

ტესტი შედგება 10 ძირითადი დავალებისგან და მისი ჯამური ქულაა 50. თითოეული დავალება 5-ქულიანია, ის მოიცავს პირობას და სამ სავარაუდო პასუხს, რომელთაგანაც მოსწავლემ მხოლოდ ერთი სწორი პასუხი უნდა შეარჩიოს. I-დან ფინალურ ტურში გადასასვლელად, მოსწავლემ უნდა დააგროვოს სულ მცირე 21 ქულა.

სავარჯიშოები შედგენილია რიცხვთა დათვლის, სივრცული და ბრტყელი ფიგურების, მარტივი არითმეტიკისა და რიცხვთა მიმდევრობის თემატიკებზე.

● ნაწილები, წილადები

მოსწავლემ უნდა შეძლოს წილადებზე მარტივი მოქმედებების შესრულება და მათი შედარება.

მაგალითი: რომელია მეტი, $\frac{1}{10}$ თუ $\frac{3}{31}$?

A) $\frac{1}{10}$ B) $\frac{3}{31}$ C) ტოლებია

● რიცხვებზე მოქმედებები, განტოლების ამოხსნა.

მოსწავლემ უნდა შეძლოს ნატურალურ რიცხვების რიცხვებზე გამრავლება ან გაყოფა, 2-ზე, 5-სა და 10-ზე გაყოფადობის ნიშნების ცოდნა და განტოლების ამოხსნა.

მაგალითი: რომელია უდიდესი ორნიშნა რიცხვი, რომელიც უნაშთოდ იყოფა 11-ზე?

A) 110 B) 99 C) 88

● სივრცული და ბრტყელი ფიგურები

მოსწავლე ვიზუალურად უნდა ცნობდეს საკლასო კატეგორიის შესაბამის სივრცულ და ბრტყელ ფიგურებს და იცოდეს მათი საბაზისო თვისებების შესახებ .

მაგალითი:

მაქსიმუმ რამდენი მართი (90° -ის ტოლი) კუთხე შეიძლება ჰქონდეს სამკუთხედს?

A) 1 B) 0 C) 2

- დროის ერთეულები

მოსწავლემ უნდა შეძლოს დროის ერთეულების ერთმანეთში გადაყვანა.

მაგალითი:

რამდენი წუთია საათნახევარში?

A) 60 B) 90 C) 120

ტესტის შემდეგ დამატებით მოცემულია **ბონუს სექცია**, რომელიც აერთიანებს 5 შეკითხვას, თითო 3 ქულიანს. ეს ნაწილი ჩვენი პარტნიორებისგანაა და საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ტესტში დაშვებული შეცდომები აანაზღაუროს დამატებითი ქულების საშუალებით.

დამატებით სამეცადინოდ შეგიძლიათ ნახოთ ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი ტესტები:

<https://kings.ge/student/login>

მოსამზადებელ ტესტებს ოლიმპიადის I ტურის მსგავსი სტრუქტურა აქვს. I ტურის მსგავსად მოსწავლეს ეძლევა 1 საათი ტესტის საწერად და რაც მთავარია, აქვს შესაძლებლობა გადახედოს დაშვებულ შეცდომებს და ოლიმპიადის I ტურზე გაითვალისწინოს/უკეთ მოემზადოს კონკრეტულ საკითხში.